№ 181

ხუთშაბათი, 24 აგვისტო 1895

1877—1895

# ივერია

№ 181

ხუთშაბათი, 24 აგვისტო 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა**

**ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 20 ამ თვემდე თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.**

გუშინ-წინ, 22 აგვისტოს, „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მდივანს დაეკარგა ჯიბიდამ სამას-ოც-და-თორმეტი მანეთი (332 მ.) მპოვნელს სთხოვენ წარადგინოს ეს ფული წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, № 125—126) გამოკლებით ფულიდამ მეოთხედის ნაწილისა თავისს სასარგებლოდ.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3და საღამოს 4—7 საათამდე.

**ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი** ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

**სასწავლებელი და პანსიონი**

**ქ-ნ ტერ-ოსიფოვისა.**

სოლოლაკი, ბაღის ქუჩა, № 46, (სერგიევის ქ. შესახვევში).

მიღება ყმაწვილებისა (ორივე სქესისა) დაიწყება 22 აგვისტოს, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვეს.

(6—1779—2).

მიღება ყმაწვილებისა

მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სკოლაში (ველიამინის ქუჩა, № 3) სწავლა დაიწყება 23 აგვისტოს (დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდის და ნაშუადღევის 6 საათიდგან საღამოს 8 საათამდის). ყმაწვილები მიიღებიან მოსამზადებელ განყოფილებაში (სომხურსა და ქართულში), უმცროსსა, საშუალოსა და უფროს განყოფილებაში. უფროსს განყოფილებაში ყმაწვილები მზადდებიან ყველა საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებში შესასვლელად.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

(5—6—4).

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 22 აგვისტოს, ტფილისში ჩამოსულა 500-მდე სოფ. მუხრანის გლეხები. ეს სოფლელნი მამასახლისის უკმაყოფილონი არიან და აგრეთვე შეწუხებულან მრავალის გარდასახადით. ამას წინად მათ საჩივარი გამოუგზავნიათ ადგილობრივ მმართველობისათვის, ახლა-კი სურთ პირადათ განუცხადონ თავისი საჭიროება („კავკაზ“).

*** როგორც ხმა მოვიდა ტფილისში, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ 8 აგვისტოს დაუმტკიცებიათ. ამ ჟამად ქალაქის მოურავი საზღვარ-გარეთ იმყოფება და უკან სექტემბერზედ ადრე არ დაბრუნდება. („ნოვ. ობოზ.“)

*** დუშეთის მაზრის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი კობიაშვილი პაპალოვის ქალის მოტაცების საქმისა გამო, როგორც გვატყობინებენ, ამ თანამდებობიდგან დაუთხოვნიათ. („ნოვ. ობოზ.“)

*** 21 აგვისტოს მთავარ-მართებლის კანცელარია კოჯორიდგან ტფილისში გადმოვიდა. კანცელარიის მსახურნი შაბათამდის სულ გადმოსახლდებიან ტფილისში. („ნოვ. ობოზ.“).

*** აგვისტოდამ ქ. ტფილისში შესამჩნევად აგრილდა, ხოლო ამ ოთხს ხუთს დღეს თითქმის კიდეც აცივდა.

*** გაზ. „ჩერნომ. ვესტნ.“-ს გაუგონია, რომ ტფილისის პოლიციმეისტერს ბ-ნ მასტიცკის მაღალს თანამდებობას აძლევენო.

*** გაზ. „ტიფ. ლისტ.“ ატყობინებენ, რომ ჩინეთში წასული ექსპედიცია ჩაის მოყვანის შესახებ ცნობების შესაკრებად, მალე უკან დაბრუნდება, რადგანაც იქ ხოლერა გაჩენილა.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“ ატყობინებენ, პროფესორს პეტრიაშვილს თანხმობა განუცხადებია მომავალ ოძისის სამეურნეო სასწავლებლის გამგებლობა იკისროს.

*** ქართველი მაჰმადიანი ასლან კაიკაციშვილი, რომელმაც წელს დაასრულა სწავლა გიმნაზიაში, კნ. ა. ი. ერისთავის სტიპენდიანტათ მიუღიათ ნოვოროსსიისკის უნივერსიტეტში („ნოვ. ობოზ.“).

*** როგორც გაზ. „ტფილისის ფურცელი“ ატყობინებენ, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების ერთ-ერთს წევრს თხოვნა წარუდგენია საზოგადოების გამგეობაში, რომ მკურნალთა საზოგადოებამ სამართალში გაიწვიოს გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი და ავტორი იმ შენიშვნისა, რომელშიც ნათქვამი იყო, პოლიციის მე-2 ნაწილიდგან ვილაცა ყმაწვილი ქალი მოიტაცა „ექიმმა-კეთილის-მყოფელმაო“.

*** „ჩერნომ. ვესტ.“-ის სიტყვით მალე გამოაშკარავდება ერთის მოხელის ბოროტ-მოქმედება. ამ მოხელეს, ხანგრძლივის სამსახურისათვის, ებოძა აბხაზეთში 400 დესეტინა მამული. მოხელემ მოიწონა და აირჩია ისეთი მიწა, რომელშიც სულ ბზა იყო, რომელიც ერთიანად აჭრა და გაყიდა. შემდეგ მოხელემ ითხოვა მამულის გამოცვლა და კიდევ ბზის მამული იგდო ხელთ. ასე სამჯერ გამოიცვალა მამული და სამჯერვე აჭრა ძვირფასი ხეო.

*** ქ. ბათუმი: აქ საშინლად დაეცა ქარხნებში მუშა ხალხის ფასი და მეტად გაჭირვებულები არიან ამის გამო. მუშა კაცი იმდენს ვერ იღებს დღიურ სამუშაოდ, რომ ჭამასმის გარდა ორიოდ გროში კიდევ დაანარჩუნოს და ოჯახობას მიაწოდოს.

*** დ. ნაგომარი: რამდენმამე სცენის მოყვარემ წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს დრამა. წარმოდგენამ ცუდად ჩაიარა. ერთი ლექსის წამკითხველი „მირბის მიმაფრენს“ სიტყვების შემდეგ სცენიდგან გაიქცა მერანისამებრ, რადგანაც ქვევით ლექსი აღარ იცოდა და სუფლიორმაც უღალატა.

*** დ. სამტრედია: ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავრცელებულია ჩვენს დაბაში ქაღალდის თამაშობა, უმეტესად ვაჭართა შორის. თამაშობენ ყველგან ქუჩაში, სახლში, დუქნის წინ... საყოველთაოდ, ყველას დასანახავად და მით ცუდს მაგალითს

## ფელეტონი

***

ლამაზმა ქალმა ღიმილით
თვალს გამიყარა თვალია,
გულს რაღამც გამიწკრიალა,
თითქოს ჩონგურის ძალია!
შორით მცქერალმა შორს მყოფსა
მომიდვა ცეცხლის ალია,
არ მიმიკარა ახლოსა,
ასე დამწვა და დამლია...
ლამაზო ქალო, აგრეთამც
არ მოგეშლება ქალობა,
თავზედ გვირგვინი გეღირსვის,
მაზლ-დედამთილის რძალობა,
ნუ მომკლავ დედის ერთასა,
მომხედე, მიყავ წყალობა!

ი. ევდოშვილი.

**პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა**

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

(შემდეგი*)

**V**

რობერტი, ხეინეკე, დედა და ალმა.

(დედას მუჯლუგუნის კვრით მოჰყავს წინ ალმა. ხეინეკე გამძვინვარებულის სახით შემოდის).

ხეინეკე. ამისთანა უსირცხვილობაც გაგონილა!

დედა. მასკარადებს ფული უნდა, შინ ეგდო, ის გირჩევნია.

ხეინეკე. აბა ღირსი არა ხარ ჩემის წყევლისა და შეჩვენებისა?!. კიდევ ერთხელ შემიჩვენებიხარ, წუწკო შენა!

რობერტი. ალმა, გარეთ გადი, მშობლებს უნდა მოველაპარაკო.

დედა. აგრეც ნუ დაეხეტები, ქალბატონო, ჩაიცვი რამე, ყომრალი კაბა გადაიცვი, დაკერებული.

ალმა. აი, ის ძველი?

ხეინეკე. გაეთრიე.

დედა. და ყავის დალევაც არ გაბედო. კარგია, კარგი, ნუ წრიპინებ... (ნელის ხმით) ყავა ქურაზედა სდგას. (ალმა გადის).

**VI**

ისინივე, ალმას გარდა.

რობერტი. მამავ, დედავ... ნუ გამიწყრებით... მე უნდა... თქვენს ცხოვრებაში... დიდი ცვლილება უნდა მოხდეს...

ხეინეკე. რა ამბავია?

რობერტი. სრულიად დავრწმუნდი, რომ სამუდამოდ დაიღუპება ალმა, თუ სხვა გარემოებასა და ვითარებაში არ ვამყოფეთ; ისეთს გარემოებასა და ვითარებაში, რომ წარსულს სულ ვეღარ დაუბრუნდეს. კარგი, მაგრამ თქვენ რაღა გეშველებათ? მარტოდ თქვენი დატოვება შეუძლებელია, მიხალსკები გაგძარცვავენ. ერთის სიტყვით, თქვენც თან უნდა გამომყვეთ.

დედა. (შეშინებული) ინდოეთში?!

რობერტი. სულ ერთია, სადაც უნდა იყოს, იქნება ინდოეთშიაც მოგვიხდეს წასვლა. ტრასტს ყველგან დიდი გავლენა აქვს. ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ არჩევანიც შეგვიძლიან.

ხეინეკე. (ყინიანად) თუ აგრეა, ინდოეთში წავიდეთ.

დედა. თავი დამირეტიანდა და აღარა მესმის-რა.

რობერტი. კარგადა ვხედავ, რომ ეს თქვენთვის ისე ადვილი არ არის. თუ ღმერთი გწამთ, უარს ნუ იტყვით. საშიშარი მხოლოდ შორიდგან სჩანს. ცხელს ქვეყნებში უფრო უკეთ შეიძლება ცხოვრება, ვიდრე აქა... თქვენ იქ იმდენი მოსამსახურე გეყოლებათ, რამდენსაც მოისურვებთ.

ხეინეკე. ბიჭოს, ეგ კარგი ამბავია!..

რობერტი. საკუთარი სახლი გექნებათ.

ხეინეკე. ინდის-ხურმის ხეებიცა, განა?

რობერტი. რამდენიც გინდათ.

დედა. ჩვენვე ნება გვექნება, რომ საუკეთესო ხილი დავკრიფოთ?

რობერტი. შეგიძლიანთ უბრძანოთ და დაჰკრეფავენ.

დედა. და ეგ არა ეღირება-რა?

რობერტი. თითქმის რომ არაფერი.

ხეინეკე. თუთიყუშებიც დაფრინავენ? მაიმუნები დახტიან, როგორც ზოოლოგიის ბაღშია?!.

რობერტი. მაშ თანახმანი ხართ?

დედა. შენ რას იტყვი, კაცო?

ხეინეკე. რა უნდა ვსთქვა, წავიდეთ რა!..

რობერტი. გმადლობთ, გმადლობთ. (თავისთვის) მადლობა ღმერთს, რომ ძალდატანება არ დამჭირდა. (ხმა-მაღლა) ეს კია, რომ დრო და ხანი არ უნდა დავკარგოთ. კალამი და ქაღალდი სად არის? (ხეინეკე დაფიქრებით იფხანს თავს).

დედა. ალმას ექნება (ალმას ოთახში მიდის).

ხეინეკე. რასაკვირველია, იმას ექნება, ისა სწერს ხოლმე წერილებს. (დუმილის კარებს მიჰხურავს).

რობერტი. (თავისთვის თავისუფლად ამოისუნთქავს) ა—ჰ! ეხლა-კი ერთი-ორად საყურადღებოა, რა დაკმაყოფილებას მპირდებოდა. რაც უნდა იყოს, უარსა ვყოფ... დუელსაც-კი არ დავთანხმდები. იქნება ამისთვის მხდალი და უპატიოსნოც დამარქვან, მაგრამ ეჰ, რაო მერე?.. მე იმათი პატიოსნება-კი არ მინდა, ლუკმა პურისათვის უნდა ვიშრომო!

დედა. (დაბრუნდება) იქ ყველაფერი მზად არის. ან იქნება აქ გინდა გამოგიტანო?

რობერტი. არა, არა, იქ უფრო არ დამიშლიან.

დედა. დღეს ძალიან დაიქანცე... ერთს საათს მაინც მისდევდი თავს!

რობერტი. (თავს გააქნევს) თუ ბ-ნმა მიულინგმა დამიბაროს, ან თვით მობრძანდეს, შემატყობინეთ. (გადის).

**VII**

ისინივე, რობერტს გარდა.

დედა. (სკამზედ დაეშვება) ინდოეთშიო.

ხეინეკე. მოხუცებულ, პატივცემულ ადამიანებს ქვეყნის გარეშემო მიგვათრევს.

დედა. (ფანჯარაში იყურება) ღმერთო შემიწყალე!

ხეინეკე. რა იყო?

დედა. მიხალსკები მოდიან.

ხეინეკე. რაო? ისინი? (სერთუკის ღილებს შეიკრავს). ეხლა-კი მე ვასწავლი მაგათ ჭკუას! (კარის რაკუნი მოისმის).

ორვე ხეინეკე. (ნელის ხმით) შე-

*) იხ. „ივერია“, № 174—80.

აძლევენ ახალგაზდა ყმაწვილებს.

20 აგვისტოს საქველ მოქმედო აზრით აქ წარმოადგინეს ვ. გუნიას ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. წარმოდგენამ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა. ხალხი ნაკლებად დაესწრო.

## კორესპონდენცია.

**ს. ალიბეგლო.** თითქმის ერთი წელიწადი მალე შესრულდება, რაც ექსარხოსი საინგილოში მოვიდა და აკურთხა განახლებული ეკკლესია ქურმუხის წმიდა გიორგისა. კურთხევის შემდეგ ადგილობრივმა ბლ. ოქროპირიძემ დაკეტა მისი კარები და არის ისე დაკეტილი დღესაც. არავის ინგილოთაგანს არ ეგონა რომ ეს ისტორიული ტაძარი, განახლების უმალვე იქნებოდა დაკეტილი. ის არის მიწერილი კახის ეკკლესიაზედ. მაშასადამე, წირვა-ლოცვასაც კახის მღვდლები უნდა ასრულებდნენ. რადგან კახში ერთი ეკკლესიის მეტი არ არის, ამისთვის სამართალი მოითხოვს, ყოველს დღესასწაულს დღეებში ერთი მღვდელი კახისა ქურმუხის წმიდა გიორგიზე სწირავდეს, მეორე კახის ეკკლესიაში. თუ ასე არ იქნება, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ტყუილად დაიღუპა ფული მის აშენებაზე — განახლებაზე. მას აქეთ, რაც ის აკურთხა საქართველოს ექსარხოსმა, მხოლოდ ერთხელ ყოფილა წირვა, თუმცა-კი მლოცველები თითქმის ყოველს თვესა ჰყავს ეკლესიას. კახის მღვდელიც თავის მედავითნით მხოლოდ მაშინ მოდის იქ, როცა არის რამე საკურთხი და გამოსარჩომი. ამ მლოცავების ყოფნის დროს მაინცა სწიროს მღვდელმა და აგრძნობინოს ხალხს, რომ ის მარტო თათრებისთვის საჩვენებლად არ არის აშენებული. მუდამ დაკეტილი ეკკლესია თუნდა ყოფილა, თუნდა არა. მისის აშენებით ხალხის პატივის-ცემას ეკკლესიისადმი მაინც არა მომატებია-რა. ხალხისაგან პატივისცემა წმ. გიორგის ქურმუხისას მაშინ მოემატება, როცა აქ წირვა-ლოცვა იქნება გამართული. ეხლა ხალხი ისევ ისე ლოცულობს, როგორც უწინ: მიდის, მიჰყავს სალმრთო, ანთებს სანთლებს, ჰკლავს ქათმებს, ცხვარს, ზვარაკს და ბრუნდება უკან სახლშივე. 15-ს მარიამობის დღესაც ყოფილან იქ მლოცველები, მაგრამ მღვდელი არ ყოფილა და ეკკლესიაც დაკეტილი დახვედრიათ მლოცველებს. რომ კვლავ ასე არ მოხდეს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაევალოთ კახის მღვდლებს, ვიდრე კახში მეორე ეკკლესია აშენდებოდეს, ერთი მღვდელი ქურმუხის წმიდა გიორგიზე სწირავდეს, შეჰკრებდეს შემოსავალს, ჩასწერდეს წიგნში. უწინ ამ ეკკლესიის მამულებიდგან შემოსავალს, როცა მთავარეპისკოპოსად ყოფილა კირილე დონაური და ამას წინადაც მრავალნი სხვანიც ერის განათლებას ახმარდნენ.

ასეთი მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმ ეკკლესიის შემოსავალს ახლაც. შემოსავალი უნდა გროვდებოდეს ბეჯითად, იწერებოდეს წიგნში და წლის ბოლოს ანგარიში ეძლეოდეს შემოსავლისა სასულიერო მთავრობას. მაგრამ ჯერ აქამომდე არა გვინახავს-რა ამგვარი, რადგან სულიერნი მამანი ემსახურებიან თავისს თავს, ჩინებს და ამაღლებას სამსახურში. სწორედ ასეა. მაშ თუ ასე არ არის, აბა დაამტკიცონ, რომ ქურმუხის ეკკლესიის შემოსავალი იწერებოდა შემოსავალ-გასავლის წიგნში. მე-კი ვამტკიცებ, რომ არც შემოსავალი ჩაწერილა წიგნში როდისმე, არც წირვა-ლოცვა ყოფილა ქურმუხის ეკკლესიაში. კახის ორი მღვდელი ჯერ-ჯერობით განისვენებენ: ერთ კვირას ერთი სწირავს, მეორეს მეორე მღვდელი. იქნება მიპასუხონ კახის მღვდლებმა: არა გვცალიან, პრიხოდი დიდი გვაქვს, ერთი ესა, მეორეც ისა, რომ შეშაბაშში აშენებულს ეკკლესიაში კვირას და უქმე დღეებში ლოცვა ღვთის მსახურებისა გვაქვსო; მაგრამ ესეც ტყუილია. აქ შეშაბაშში, ხალხმა თავის ხარჯით ეკკლესია აღაშენა იმ იმედით, რომ კვირაობით მაინც მოვლენ ჩვენი კახის მღვდლები და გვაღირსებენ ღვთის-მსახურების ლოცვათა მოსმენასო, მაგრამ მათი იმედი გაცრუვდა: ეკკლესია მაგარის კლიტით არის დაკეტილი. ეშმაკმა ისე გაიდგა მაგრად ფეხი, რომ ეკკლესიის კარების გაღებას ვერა ჰბედავენ კახის მღვდლები კვირა-უქმე დღეებშიაც. კახის მღვდლებმა აღაშენეს ეკკლესიები ქურმუხისა მთავრობისა და ხალხის ხარჯით, აკურთხებინეს და მოისვენეს, რადგან აჩვენეს სასულიერო მთავრობას თავიანთი მხნეობა ერთგულის სამსახურისა და ითხოვეს კიდეც, რომ მთავრობამ უკეთესი ადგილი სამსახურისა მისცეს მათ შრომისა და მოვალეობის აღსრულებისათვის.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

16 აგვისტოს, 1895 წ.

## კახაბრის, აჭარის, შუა ხევის და ხულოს გათათრება.

(ნაამბობი სოფ. ზვარელ 80 წლის სელიმ ალა-იში-ოღლისაგან და მაჰმადიან თურმანიძისაგან).

ოსმალთ აჭარა მაგრა დაიმორჩილეს. მერე გათათრება დაუწყეს, მაგრამ საქმე ერთობ გაუჭირდათ. აჭარლებს ოსმალთაგან მოციქულები მოუვიდათ და თათრობა განუცხადეს. მოციქულები უკან დააბრუნეს, თან გაატანეს თავიანთი მოციქულებიც და შეუთვალეს ასე:

— ჩვენ გვიმსახურეთ ისე, როგორც გენებოთ, ხოლო სჯულს-კი თავი დაანებეთ, ჩვენ ჩვენს სჯულს არ დავკარგავთ, არ გავთათრდებით.

ქართველების ასეთი უარი ოსმალოს ფაშას ძლიერ ეწყინა. მალე ტრაპიზონიდგან ოსმალოს ჯარი მოვიდა და კახაბერში ომი ატყდა. ომში ოსმალნი დაეცნენ, აჭარელნიც ბევრნი გაწყდნენ, ბოლოს ოსმალთ ხერხი მოიგონეს და ხალხის ფულით შესყიდვა დაიწყეს. პირველად შეისყიდეს. სოფ. ერგე, ბათუმის ზემოთ, კახაბრისა და აჭარას შუა და პირველად სოფ. ერგეს ხალხი გათათრდა. ოსმალთა მუსლიმანთა სალოცავი ჯამე პირველად ამ სოფელში გააკეთეს. აქედამ წავიდნენ აჭარისაკენ და დაიწყეს მეცადინეობა, მაგრამ ვერსად რა მოახერხეს, ვერც თხოვნით და ვერც შიშით ვერავინ გაათათრეს. უკანასკნელნი მივიდნენ სოფ. ორცოში და მცხოვრებთ შესყიდვა დაუწყეს და თან გაუცხადეს:

— ერგე გათათრდა და თქვენ რას იტყვით?

ორცოს მცხოვრებთ ეს წინადადება ჯერ ეუცხოვათ, ეჯავრათ კიდეც, მაგრამ მალე დამორჩილდნენ ბრძანებასა და მიუგეს:

— ყოველივეს აღვასრულებთ, რასაც-კი გვიბრძანებთ, გავთათრდებით, მეტი რა გზა გვაქვს.

ესენი მალე გათათრდნენ და მეორე ჯამეც ამათში გააკეთეს, კაკაშვილების სახლების მახლობლად. აქედამ წავიდნენ მერისში. მაშინ სოფ. მერისში 700 კომლი სცხოვრობდა. ოსმალთ მერისელთაც აცნობეს გათათრება:

— ერგე, ორცო და სხვა სოფლები გათათრდა და თქვენ რაღას იტყვით, თათრდებით, თუ არაო?

მერისელთ უარი უთხრეს:

— არ გავთათრდებით. გინდა დაგვხოცეთ და მაგას-კი ვერ ვიზამთ!

რამდენიმე დღის შემდეგ ამათში ჩხუბი გაიმართა. ს. მერისის მცხოვრებთ რიცხვი მთლად გაწყდა, შვიდას კომლში მხოლოდ ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი გადარჩა, ცეცხლაძეები. დანარჩენნი, კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზდა და ყმაწვილი გამწყდარან მთლად სჯულისათვის ბრძოლაში. მერისში მაშინ სოფლის სახლები ისე ახლო-ახლო იყო, რომ კატა ერთის სახლის სახურავიდგან მეორე სახლზედ გადახტებოდა ხოლმეო. ეს სახლებიც მთლად დაუქცევიათ ოსმალთ. ბოლოს ცეცხლაძეები გათათრებულან. მესამე ჯამეც მერისში დაუდგამთ. აქედგან წასულან შუა ხევის სოფლებში და სოფლელებისთვის უთქვამთ:

— აჭარა გათათრდა და თქვენ რაღას იტყვით, გათათრდებით თუ არა? შუახეველნი მოტყუებულან და გამოუცხადებიათ:

— რაკი აჭარელნი გათათრდნენ, მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენც გავთათრდებითო.

ესენიც გათათრებულან. ამათთვის მიუციათ ხოჯები და მეოთხე ჯამეც აქ გაუკეთებიათ. შუა ხევის გათათრების შემდეგ ოსმალნი წასულან ხულოში. ხულოში მაშინ ერთი დიდი მღვდელი მჯდარა და ერთიც ქართველი თავადისშვილთაგანი. ოსმალთ ამათთვისაც განუცხადებიათ გათათრების ამბავი.

— ფადი-შახის ბრძანება მოვიდა და გეცხადებათ, რომ თქვენ უნდა გათათრდეთ.

უფროსს მღვდელს და მმართველს თავადს უთქვამთ:

— ჩვენ ხალხის გათათრებაზედ პასუხს ვერ მოგცემთ. ჩვენ რა ვიცით, ხალხი რას იტყვის. დღეს ხალხთან მოვილაპარაკებთ, ხვალ გადავწყვეტთ საქმეს და ზეგ მოგცემთ პასუხს.

ოსმალნი დასთანხმდნენ. დიდმა მღვდელმა და თავადმა ფადი-შახის ბრძანება ხალხს აცნობეს, მაგრამ ხალხმა სთქვა:

— არ გვინდა, არ გავთათრდებით, დავიხოცებით და მაგას-კი არ ვიზამთო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## პასუხად მამასახლისს მაჭარაშვილს.

„კვალის“ მე-35 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი ბ ნ მაჭარაშვილისა, შესახებ ჩემის კორესპონდენციებისა, რომელნიც იყვნენ დასტამბულნი ამ წლის „ივერიის“ მე-140 და 160 №№-ში. ხსენებულს წერილში ბ-ნი მაჭარაშვილი ბრძანებს, ვითომ რაიმე დამოკიდებულება მქონდეს „ივერიის“ რედაქციასთან და მიტომ იყო დაბეჭდილი ჩემი „ცრუ“ მოგონებანი შესახებ მაჭარაშვილისა. მაგრამ ვისაც

---

მოდით.

VIII

ისინივე და ავგუსტა და მიხალსკი.

მიხალსკი. (ხელში შეხვეული უჭირავს რაღაცა) დილა მშვიდობისათ!

დედა. სუუ...

ხეინეკე. (მუშტით ემუქრება) მე თქვენ გიჩვენებთ! გაეთრიეთ ეხლავ აქედგან!

ავგუსტა. (ჩამოჯდება) დღეს მშვენიერი ამინდია.

მიხალსკი. (დაჯდება და შეხვეულს ბოთლს გახსნის) აი, ტკბილი არაყი მოგიტანეთ. ისეთი საუცხოვოა, რომ თითებს დაილოკავთ. აბა ერთი ბოთლის საცობის ამოსაღები მომეცით.

დედა. სხვა დროს იყოს, ეხლა-კი ჩვენ უნდა გაგრეკოთ.

ავგუსტა. ვინ გითხრათ მერე?

დედა. სუუ, რობერტმა.

ავგუსტა. რაო? განა ბატონობის ნებაც მიეცით?!

ხეინეკე. (ნელის ხმით) ჩუმად, თორემ აქვეა, მეორე ოთახში.

ავგუსტა. (გულის ტკივილით) საბრალო მამა, შიშით კანკალებს კიდეც.

მიხალსკი. განა საწყალს, პატიოსანს ხალხს აგრე მოეკიდებიან? საზიზღარი!

დედა. არა, საზიზღარი არ არის, სამაგალითო შვილია, ჩვენთვისა ჰზრუნავს.

ხეინეკე. თუმცა-კი ინდოეთში უნდა წაგვათრიოს.

მიხალსკი. } (ერთად) რაო?!
ავგუსტა. } სადა?!

დედა. ინდოეთში.

ავგუსტა. რადაო?

დედა. მარტო იმიტომ, რომ ალმამ მასკარადში მოინდომა წასვლა.

მიხალსკი. გაგიჟებულა სწორედ.

დედა. ამის გამოისობით ჩვენს ავეჯსაც თავი უნდა დავანებოთ, სახლის სამკაულს გამოვეთხოვნეთ.

ავგუსტა. (ცბიერის სინაზით) მეც, უბედური, ობლად უნდა დამტოვოთ?!.. ავეჯეულობას-კი გაჰყიდით, არა?

დედა. ავეჯსა? (ავგუსტა თავს დაუქნევს). მეტი რა ღონეა.

ავგუსტა. სარკეც? სავარძლებიც? (დედა თანხმობის ნიშნად თავს დაუკანტურებს. ავგუსტა ნაზად) მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, უბრალოდ, ნახევარ ფასად გადაყრის ნაცვლად თქვენს ობლად დარჩენილს ქალს მივცემდი სახსოვრად. აი, მაშინ დარწმუნებული მაინც იქმნებოდით, რომ თქვენს სიკეთეს რიგიანი მომვლელი ეყოლებოდა.

დედა. (უნდობის თვალით ხათვალიერ ჩაათვალიერებს, შემდეგ ხეინეკეს ეუბნება ჩუმად) გესმის, კაცო, სავარძელს კლანჭის გაკვრას უპირებს.

ავგუსტა. (სიტყვის გასწორება უნდა) ჰო, თუნდა გაჰყიდოთ, ჩვენ ყოველთვის კარგს ფასს მოგცემთ, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს მაინც.

ხეინეკე. მოითმინე, ჯერ ხომ არ წავსულვართ.

მიხალსკი. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო.

დედა. რა უნდა ვქნათ, იმის ხელში ვართ: სადაც ის გვიბრძანებს, იქ უნდა წავიდეთ. თქვენ ხომ ვერ დაგასხდებით კისერზედ?

ავგუსტა. ჩვენ ჩვენთვისაც არა გვაქვს ლუკმა-პური. (კარის რაკუნი მოისმის).

IX

ისინივე და მიულინგი.

(ყველანი შეშინებულნი წამოხტებიან თავ-თავისის ადგილიდგან).

მიულინგი. დილა მშვიდობისათ, ძამიანო! თქვენი შვილი სახლშია?

ხეინეკე. (თავ-მომწონედ) როგორ არა, მობრძანდით, შინ გახლავთ.

დედა. (კარებს გააღებს) რობერტ! (ნაზად) ოჰ, ღმერთო, სკამზედ მისძინებია... წუხელ მთელი ღამე თვალი არ მოუტყუებია... რობერტ... ბ-ნი მიულინგია... არა, მაგრადა სძინავს.

მიულინგი. (ალერსიანად) მართლა?... მით უკეთესი, ნუღარ გამოაღვიძებთ.

ხეინეკე. კარები მოჰხურე.

დედა. (ნელის ხმით) ხომ გვითხრა...

ხეინეკე. იმან ახალგაზდა მიულინგის შესახება სთქვა. (კარებსა ჰხურავს).

ავგუსტა. (ქმარს) ვნახოთ რა იქნება.

მიულინგი. (ოთახს აათვალიერ-ჩაათვალიერებს) საუცხოოდ ყოფილხართ მოწყობილნი, ჩემო მეგობარნო!

ხეინეკე. (თავ-მომწონედ) ხომ არ ინებებთ დაბრძანებას... აი სავარძელი.

მიულინგი. ოჰო, ნამდვილი აბრეშუმია!

დედა. დიაღ, ნამდვილი აბრეშუმი გახლავთ.

მიულინგი. ნაჩუქარი იქნება ვისიმე?

დედა. (ენა ებმება) დიაღ... ჰო... ეს...

მიულინგი. (უზრუნველის სახით) ჩემის შვილისა განა?

ხეინეკე. } (ერთად) დიაღ...
დედა } სსუ...

მიულინგი. (თავისთვის) საძაგელი! (ხმა-მაღლა) ჰო, მართლა, თქვენი საყვარელი შვილი საკადრისად არ მოექცა ჩემს შვილს. გულ-ახდით უნდა გითხრათ, რომ იმისაგან სხვაგვარად მოველოდდი მადლობის გარდახდას. შეგიძლიანთ გარდასცეთ, რომ დამითხოვნია და ნაშუადღევის ოთხ საათამდე ველი ანგარიშს.

დედა. ოჰ, ძალიან ეწყინება ეგ ამბავი!

ხეინეკე. ისე უყვარხართ, როგორც მშობელი მამა.

მიულინგი. მართლა? ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მე ამისათვის არ მოვედი თქვენთან, ჩემო კარგნო... თქვენ ქალიშვილი გყავთ.

ავგუსტა. (წინ წამოდგება) რას მიბრძანებთ?

მიულინგი. რა სამსახური შემიძლიან გაგიწიოთ?

ავგუსტა. (თავ-მომწონედ) ამათი ქალიშვილი გახლავართ.

მიულინგი. ჰო? დიდად, დიდად მოხარული ვარ. მაგრამ თქვენ შესახებ არ ვამბობ. იმ ყმაწვილს ქალს ალმა ჰქვიან.

დედა. ჭეშმარიტებასა ჰბრძანებთ. და მართალი რომ მოგახსენოთ, მშვენიერი გოგონაც არის.

ხეინეკე. და ნიჭიცა აქვს. მღერა-გალობას ვასწავლით.

ცოტა რამ ესმის, მიხვდება, რომ აქ დამოკიდებულებას ალაგი არ ექნებოდა. ამას გარდა, თქვენ თუ იცნობთ რომელსამე რედაქციას, რომელიც ნაცნობობით და მეგობრობით ჰბეჭდავს წერილებს, თორემ მე ასეთი რედაქცია არც მეგულება და თუ მოიპოვება—საქმესაც არ დავიჭერ. დამიჯერეთ, თქვენ თქვენის ლიტონის სიტყვით, რომლითაც გამოილაშქრეთ „კვალში", ფონს ვერ გახვალთ და რაც ნაკმაზი გადააყარეთ, „კვალს" თქვენვე დაგჭირდებათ ასაკენკად.

თქვენ ბ. მაჭარაშვილო ბრძანებთ, თითონ თარხნიშვილს უნდოდა მამასახლისობაო. ვსთქვათ, რომ მინდოდა, მაგრამ იმისთვის-კი არ მენდომებოდა, რომ ხალხი გამეძარცვა; თუ მენდომებოდა იმიტომ, რომ რაიმე ადამიანური წეს-წყობილება ჩამომეგდო გლეხთა საზოგადოებაში, რომელიც ასე ულმერთოდ არის შევიწროებული ზოგიერთ მამასახლისებისაგან. ერთი მიბრძანეთ, ბ-ნო მაჭარაშვილო—რა იდეალებმა გაგიტაცეს, რომ მუქთად დაჰპირდით საზოგადოებას მამასახლისობა გეკისრნათ და როდესაც ძალა ხელში იგდეთ, მაშინ-კი ეს დაპირება დაგავიწყდათ. როგორც თქვენის სიტყვიდგან სჩანს, დღეს ას-ორმოცი თუმანი გქონიათ ჯამაგირი, მაგრამ არა, ბ-ნო მაჭარაშვილო! თქვენ გაქვთ ჯამაგირი ორას-ორმოც-და ათი თუმანი და მეტიც.

მართალია, ეს ჯამაგირი თქვენვე დაუნიშნეთ თქვენს თავს, მაგრამ საბუთი საბუთად რჩება. ჯამაგირს იღებთ თქვენ ძალით. მაშ რა დავუძახოთ ამ საქციელს, თუ არ ძალაობა, როდესაც საზოგადოებას არც-კი გაუგია ვინ დაგიწესათ ის ას-ორმოცი თუმანი, რომელიც თქვენ დაასახელეთ?

როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მმართველობის წესდებაში წერია: „თუ საზოგადოება გარდასწყვიტს რასმეს თავის ყრილობაზედ, მაშინ ორი მესამედი საზოგადოებისა მცხოვრებთაგანი უნდა იყვნენ თანახმანი ამ გარდაწყვეტილებისა, ხელის მოწერით, მხოლოდ მაშინ იქნება ხსენებული განაჩენი მთავრობისაგან შეწყნარებული". იმის შემდეგ ცხადია, რომ თქვენ უნდა წარმოადგინოთ საზოგადოების განაჩენი, რომელშიც უნდა სჩანდეს, რომ დაგენიშნათ ხსენებული ჯამაგირი და სიმართლე თქვენკენ იქნება. მაგრამ წარაუდგინეთ განაჩენი, ნამდვილი, ვისგანაც ჯერ არის, მისგან დამტკიცებული.

თქვენ სწერთ, თარხნიშვილის კორესპონდენციაში საბუთები არ არისო, აი, ბატონო მაჭარაშვილო, საბუთებიც: რა იქნა ფლეველი სოსე ჭელაძის, სარდო ტეფნარის, ქიტა და შიო ნოზაძეების თორმეტი მანეთი? რა იქნა იქაურივე დიმიტრი კანა-პაძის, ილიკო გელაშვილისა და ზუნა ნოზაძის რვა მანეთი? რა იქნა სოლო ნოზაძის, ივანე ტალახაძისა და მაქსო მესხის რვა მანეთი და მრავალი მანეთები, რომელნიც თქვენ გარდაახდევინეთ ხსენებულთ პირთ, და გარდა ამისა ის ბევრი მანეთები, რომლებიც გარდაახდევინეთ საზოგადოების მცხოვრებლებს—სუდიების გარდაწყვეტილებით?

შემდეგ ბრძანებთ: „ვისა ვცემე, დამისახელონო". სიამოვნებით შევასრულებ თქვენს სურვილს. ვინ დაამტვრია ყბები ცემით ვარდისუბნელ კოტე ხაჩიძეს და მიხა პაპიაშვილს თუ არ თქვენ, რომელთაც საჩივარი აქვთ გაგზავნილი გუბერნატორთან თქვენზედ.

ვინა სცემა და სამი დღე დაამწყვდია ბოსელში მოხისელი მათე ნავროზაშვილი და მრავალი სხვა?.. მაგრამ ყველას მოთვლა შეიძლება განა?

კიდევ ამბობთ: რა ფულები გამოვართვი ფლეველებს ბორჯომის ყარაულებისაო".

დიაღ, ბატონო, ეგ არის ჩემი საკითხიც. რა იქნა ის თოთხმეტი მანეთი, რომელიც ფლეველებს გამოართვით, ყარაულების ჯამაგირად და რომლის მიღების თქვენი ბარათი მე დღეს ხელში მაქვს.

შემდეგ მეკითხებით, ჯაჭვის ფული როდის მოაგროვეო"?—მაშინ, როდესაც მთელს საზოგადოებაში მოაგროვეთ ორ-ორი შაური, რაიცა შეადგენს არა ნაკლებ თორმეტის თუმნისას, ამას დაამტკიცებს ყველა მცხოვრებთაგანი. იქნება ახალი ჯაჭვი მუქთადაც მოგივიდათ მთავრობისაგან, ეს ჩვენ არ ვიცით.

ამით ვათავებ თქვენთან ბასს, ბ. მაჭრაშვილო, და თუ მიხვდით იმას, რა ბრალსაც მე გდებთ, თქვენ, როგორც პატიოსანი მოღვაწე საზოგადოებისა, უნდა ითხოვოთ თქვენს მაღალ მთავრობასთან, რომ მან დანიშნოს სასტიკი გამოძიება. თუ გამართლდებით, მაშინ ხომ მე ვიქნები შერცხვენილი და კანონიც დამსჯის, თუ არა და „კვალის" ფურცლებზედ მოჩმახული ზღაპრების წერა, თქვენ ვერ გაგინათლებთ საქმეს.

თავ. სიკო თარხნიშვილი.

## პასუხის მაგიერ ბ-ნ ჯალიაშვილს.

ამას წინად მე და ბ. ჯალიაშვილმა, ს. ბოდბის-ხევის მასწავლებელმა, გავმართეთ კამათი გაზ. „ივერიაში". ჯალიაშვილს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სრულიად მომზადებულია თავისის თანამდებობისათვის და რომ მას სასურველად მიჰყავს ნატვირთი საქმე.

პირველს წერილში თავისს უცოდველობას ჯალიაშვილი იმითი ასაბუთებს, რომ მე თვით კარგად ვხედავ, რომ ბოდბის-ხევში წერა-კითხვის გავ' ცელება (რასაკვირველია, მისი მეოხებით) კარგად მიდისო", ესე იგი ჯალიაშვილს თავისი თავი მოჰყავს მოწმეთ!

მეორე წერილში გასამართლებელ საბუთებად მოჰყავს სარევიზიო წიგნები. მე პირველს წერილზედ პასუხი მივეცი და ვსთქვი ყველა ის, რაც-კი შესაძლებელი იყო მეთქვა, ისე რომ შევხებოდი სასწავლებლის შინაგან მმართვა-გამგეობას; ხოლო მეორე წერილზედ-კი არ მიმიცია პასუხი. არ მიმიცია პასუხი იმიტომ-კი არა, რომ არ შემეძლო მისი საბუთების წინააღმდეგ მეთქვა რამე, არამედ სხვა აზრმა შემაყენა. ამას თუ საჭირო იქნება, ვიტყვი. ეხლა-კი პასუხის მაგიერ ვსთხოვ ჯალიაშვილს გამოაქვეყნოს ის საბუთები, რომელთაც ის ასე ამოჰფარებია და რომელნიც ვითომცა შეურყეველნი არიან. დიაღ, ვსთხოვ ჯალიაშვილს თანადასწრებით რამდენიმე პატიოსან პირისა ამოსწეროს სარევიზიო წიგნებიდგან რეზოლიუცია და გამოაქვეყნოს გაზეთის საშუალებით. მოწმენი რეზოლიუციისა უნდა იყვნენ ამ სოფლის მღვდელნი და სხვა შეგნებულნი პირნი. მიკვირს, როცა ბ. ჯალიაშვილმა სარევიზიო წიგნებზედ მიგვითითა, რატომ მაშინვე არ დაასაბუთა კიდეც. ის დალოცვილი აიღებდა და მაშინვე ამოსწერდა რევიზორის რეზოლიუციასა.

ი. ხოსიტაშვილი.

## უცხოეთი

**იტალია.** იტალიის მთავრობა, როგორც გაზეთი „მემორ. დიპლ." იუწყება, დიდს სამხედრო სამზადისშია. საზღვაო მინისტრმა ამ დღეებში არნსტრონგის ფირმას შეუკვეთა თორმეტი დიდი ზარბაზანი ჯავშნიან გემისათვის და ათიც პატარა შეიარაღებულ კრეისერებისათვის.

**ბულგარია.** როგორც გაზეთი „ბერლინ. ტაგებ." იუწყება, როდოსლავოვისა და სტამბულოვის დასის შეერთება გვიანდება. როდოსლავოვს უთქვამს, რომ მისი დასი ისედაც ძლიერია და არ საჭიროებს შეუერთდეს სტამბულოვის დასს. მაგრამ სტამბულოვის მომხრეებს ჰსურთ შეუერთდნენ მათ, რომ მით სრულიად აღმოფხვრან პოლიტიკურ დასებიდამ სტამბულოვის სახელის ცუდად მოხსენება. თუო,—ამბობს გერმანელი ჟურნალისტი,—ეს შეერთება მოხდა, მაშინ ახალ დასს 90% ბულგარიის მცხოვრები შეადგენენ და მათთვის ადვილი იქნება სტოილოვის წინააღმდეგ ბრძოლა, მისის აზრის დამხობა და ათის წლით კონსტიტუციის შეყენება.

ამავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ: ანდრიანოპოლის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ ამ ჟამად იანიკლში დიდი სისხლის ღვრააო. მიზეზნი არიან ბულგარიელები, რომელთა შორის ურევიან ბულგარიელი აფიცრები და ჯარის-კაცნი; ამბოხება ოსმალეთის წინააღმდეგ არის. 287 სახლი, 1,200 მეჩეთი და სარაია დაუწვავთ. მეჩეთები და კოშკები ყუმბარებით და დინამიტებით აუფეთქებიათ. ჯერ-ჯერობით 24 მოკლულთა გვამი უპოვიათ; მათ რიცხვში არიან ქალები და ყმაწვილები. ცამეტი კაცი ცეცხლის ალში დაიწვა.

**საფრანგეთი.** გენერალ-ადიუტანტი მ. ი. დრაგომიროვი, როგორც ამბობს გაზ. „ფიგარო" დაესწრება საფრანგეთის ჯარის ალლუმზედ. დრაგომიროვს იგივე უფლებები აქვს დათმობილი, როგორც თვით საფრანგეთის გენერლებს: მას ნება აქვს დაათვალიეროს ყველა ადგილები და ციხეები. ამისთანა ნება არ ეძლევა არც ერთ სამხედრო აგენტს უცხოელ სახელმწიფოებისას.

ამავე ალლუმს დაესწრება საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზ გიორგის ძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

სოხუმიდგან გაზეთ „ნოვ. ვრ."-ს სწერენ:

„ქართველები განგებ ავრცელებენ ხმებს, ვითომც სოხუმის ოლქში ციებ-ცხელება იცის მუდამ, რათა ამით დააშინონ რუსები, რომელთაც სურთ აქ მამულების შეძენა. ბოლოს დროს მეტად მტრულად უყურებენ რუსებს ადგილობრივი მკვიდრნი. სოხუმის მხარე ახლა ილვიძებს, მალე

---

მიულინგი. ახ, ყოველთვის სასიამოვნო სანახავია, როდესაც შვილები მშობლების გულს ახარებენ. მხოლოდ ერთი რამ-კი არ მომწონს. ის არ მომწონს, რომ თქვენმა მშვენიერმა ქალიშვილმა ისარგებლა ამ სახლში ყოფნით, სადაც მე თქვენ ჩვიდმეტი წლიწადია ცხოვრების ნება მოგეცით, და კურკური დაუწყო ჩემს შვილს. გულ-ახდით უნდა გითხრათ, სხვა გვარად მოველოდდი თქვენგან მადლობის გარდახდას.

დედა. ბატონო, ჩვენ...

მიულინგი. რომ მოვსპო ყოველი კავშირი და დამოკიდებულება ჩემსა და თქვენს ოჯახს შორის, განშორებისა და თავ-დანებებისათვის სასყიდელს მოგცემთ. ეს ფული შეგიძლიანთ, ჩემო ძმიავ ხეინეკე, თქვენ და თქვენმა ქალმა გაინაწილოთ, ისე რომ ნახევარი იმისს მზითევს მოუნდეს, თუ ვინმე გამოუჩნდა და დასთანხმდა... (ჩაიცინებს). მანამდე-კი ეს თანხა თქვენს ხელში იქნება. რას იტყვით, თანახმანი ხართ?

ავგუსტა. (უკანიდგან ნელის ხმით) სთქვი: ჰო-თქო.

ხეინეკე. მე... მე...

მიულინგი. საგანგებოდ დიდი ფული გადავდე ამ საქმისათვის, რომ უკანვე დავიბრუნო ის მოუფიქრებელი სიტყვა დაპირებისა, რომელიც თქვენმა პატივცემულმა შვილმა გუშინ მოახერხა და ჩემს შვილს ჩამოართვა. ეს ფული შეადგენს (ხუოკნებს და სიტყვებს ჭყლაპავს) ათასს ხუთასს თუმანს.

ხეინეკე (შესძახებს) ღმერთო ჩემო, ნუ თუ მართალია?!.

დედა. მიშველეთ, გული მიმდის (სკამზედ დაეშვება, ავგუსტა ხელს მაშველებს).

მიულინგი. (თავისთვის) ბევრი მომივიდა... (ხმა-მაღლა) ერთხელ კიდევ გკითხავთ: საკმარისია ათას ორასი თუმანი?

მიხალსკი. თქვენ მგონი წელანა სთქვით, რომ...

ავგუსტა. (უკანიდგან ხელსა ჰკრავს მამას) ჩქარა დასთანხმდი, თორემ კიდევ დაუკლებს.

ხეინეკე. მე ეგ ათას ორასი თუმანიც არა მჯერა, ჩვენო ბატონო და პატრონო. მაგდენი ფული, მგონი, ქვეყანაზედაც არ მოიპოვება. სისულელე უნდა იყოს! აბა ფული მიჩვენეთ.

მიულინგი. ფული თქვენთვის კანტორაშია გადადებული.

ხეინეკე. მერე თქვენი მოურავი კინწის-კვრით არ გამომაგდებინებს. იტყვის, გაგიჟებულაო. ოო, ეგ მოურავები ჩვენთან, ღარიბ ხალხთან, ძალიან სასტიკნი და შეუბრალებელნი არიან. (მიულინგი ორდერების წიგნს ამოიღებს, ჩასწერს, მოჰგლეჯავს და ხეინეკეს გადასცემს. ყველანი მიაჩერდებიან და დიდის ყურადღებით ათვალიერებენ) ათას ორასი თუმანი! ამითი თქვენ ისეთი კეთილშობილება დაამტკიცეთ თქვენი, ისეთი კეთილშობილება, რომ... მომეცით თქვენი ხელი.

მიულინგი (ხელს ჯიბეში დამალავს) ერთი სიტყვაც—ხვალ ავეჯის გადასაზიდად ეტლს გამოგიგზავნით, გაისარჯეთ და ორის საათის შემდეგ სახლი დამიცალეთ. იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ თქვენს სახეს არასოდეს აღარ ვიხილავ.

ხეინეკე. აგრე ნუ ჰბრძანებთ, ბატონო. თუ არ გეძნელებათ ნახვა ჩემისთანა მოხუცისა და პატივცემულის კაცისა, დიდის კმაყოფილებით ვასიამოვნებ ხოლმე ათასში ერთხელ ჩემს თავს თქვენის ხილვით. დიაღ, მე მოხუცი, პატიოსანი კაცი ვარ.

მიულინგი. ეგ რასაკვირველია. მშვიდობით, ჩემო კარგნო. (თავისთვის) საზიზღარნი! (გადის).

X

ისინივე, უმიულინგოდ.

ხეინეკე. ღმერთო, ათას ორასი თუმანი!.. (მიხალსკის ჭსურს გადაუხვევს). სამის ნაბიჯით შორს, სიძე-ბატონო! (ჯიბეებში მოჭხულავს, ცხვირსახოცს ამოიღებს, მუხლის თავებზედ გაიშლის, დიდის სიფრთხილით გააკეცავს შიგ ორდერს და შიგნი-შიგან ჯიბეში ინახავს). ეს ასე... ეხლა-კი შეგიძლიან მომიალერსო.

დედა. სიხარულით მეც არ ვიცი, რა მემართება. (სიხარულით ერთმანეთს კოცნიან) ეხლა-კი აღარ დამჭირდება უთუოდ ბაზარში თრევა. ნაშუადღევისას-კი, როდესაც უცბად შემცივა, არხეინად შემიძლიან ერთხელ კიდევ გავახურო ბუხარი. სადამოზედ, ვახშმად, ლორსა და ხორცს გიახლებით.

ხეინეკე. ეხლა-კი შემიძლიან რამდენიც მინდა, იმდენი ვისეირნო ცხენის რკინის გზით.

მიხალსკი. სწორედ სამოცი ათასი თეთრი აბაზია.

დედა. რბილს სკამ-ლოგინს ხომ მიყიდი?

ავგუსტა. ინდოეთში-კი მგონი ეხლა აღარ წახვალთ.

დედა. / ხეინეკე. (ერთად) იჰ, საქმე არა გაქვს. რას ლაპარაკობ, ხომ არ გაგიჟებულხარ!

ავგუსტა. მერე ჩვენი ძმია რაღას იტყვის?

დედა. (სიხარულით) ახ, ჰო, ჩემი შვილი!

ავგუსტა. (შეაჩერებს) გირჩევ, ნურაფერს ჩაახარებ. დრო მოვა, თითონაც კარგად შეიტყობს.

დედა. (შეშინდება) რა არის განა?

ხეინეკე. (ცოლს იუბკას ჩამოსწევს და სამზარეულოსაკენ ანიშნებს) ის-კი იქ არის განა, ხე-ხე-ხე!

დედა. ახ, ჩემო ტურფავ, ჩემო საბრალო შვილო!

ხეინეკე. (საიდუმლოდ) სუუ, დაიცა, უცბად გავახარებთ. (ყველანი ფეხის თითებზედ მიდიან სამზარეულოს კარებისაკენ. ხეინეკე წინ მიდის და კარებს აღებს. სამზარეულოდგან წივილის ხმა გამოვა. გაოცებული ხეინეკე უკან დაიწევს). აი კაი ამბავი თუ გინდათ, ეს არის.

დედა. (ხელებს გაასავსავებს) ოჰ, უფალო!

მიხალსკი. (ხეინეკე-დედის მხრიდგან გადაიცქირება) ბიჭოს, დალახვრა ღმერთმა!

ხეინეკე. (ნამალადევის სასტიკობით) აბა, ჩქარა გამოეხეტები თუ არა?

ა. ახნაზაროვი

(შემდეგი იქნება)

რკინის გზა გაივლის ამ ადგილებზედ და აქამდის მიძინებულმა მცხოვრებლებმაც გაიღვიძეს; მათ ძალიან ეშინიათ—რუსებმა არ დაიპყრან ადგილები ამ მშვენიერ ქვეყანაში. ამგვარის შემთხვევის თავიდგან ასაცილებლად სოხუმში არსდება საზოგადოება ქართველების, აბხაზებისა და ბერძენთა, რომელთაც განუზრახავთ—თვალ-ყური ადევნონ მამულებს და თუ სადმე, ან სოხუმში ან სოხუმის მიდამოში, გამოჩნდება გასასყიდი მამული, მაშინვე შეიძინონ ისინი. ამრიგად, უმთავრესი საგანი ახალის საზოგადოებისა არის: ხელიდგან არ გაუშვან აქაური მიწა-წყალი. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განზრახულს საზოგადოებას, გარდა აღნიშნულ საგნისა, აზრადა აქვს ეცადოს, რომ უმიწა-წყლო მკვიდრთა და რუსებს შორის სიძულვილი არ მოისპოს. *) რასაკვირველია მეტია იმის განმარტება, თუ რა მავნებელია ეს საზოგადოება რუსების დასახლებისათვის ამ მდიდარს ქვეყანაში, სადაც ლიმონისა და ზეთის ხილის ხე ქუჩებში ყვავის, სადაც ოლეანდრებითა და წნორით არის მოფენილი მდინარეთა და წყაროთა ნაპირები“!

სწორედ არ მოველოდით «ნოვ. ვრ»-ში ამგვარს წერილს! ამისთანა შემთხვევის გამო „ნოვ. ვრ.“-მ ისეთ მოხერხებულის წერილების შეთხვზა იცის, რომ ძნელია კაცმა გაარჩიოს—სად თავდება სიმართლე და სად იწყება სიცრუე, ცილის წამება, ჭორი და ინსინუაცია. ახლა-კი საკვირველის მოუხერხებლობით მოუჭორავს სუვორინის გაზეთს... კორესპონდენტი წერილს იმით იწყებს, რომ ქართველებმა განგებ დაჰყარეს ხმები სოხუმის ციებ-ცხელების შესახებ, რათა რუსები დააფრთხონო. მოდი და ნუ გაგეცინება ასეთს ბრალდებას რომ წაიკითხავ! ქართველები სრულიად წინააღმდეგის სენით არიან შეპყრობილნი: ქართველს კაცს ისე გადამეტებით უყვარს თვისი სამშობლო, რომ სამშობლოს შესახებ ცუდის გაგონებას პირად შეურაცხყოფათა სთვლის და მძაგებელს არ შეარჩენს ცუდს სიტყვას. „ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდენტი-კი გვარწმუნებს—ქართველები თვით ავრცელებენ სამშობლოს შესახებ ცუდს ხმებსაო... თუ სოხუმის მიდამოების ციების ამბავი სიცრუეა, ეს ისევ სუვორინის თანამემამულეთა მოჭორილი გახლავს, რადგანაც მათ, არ ვინ იცის, რა მიზეზებისა გამო, ხშირად უყვართ ხოლმე უსაფუძვლო ძაგება ჩვენის ქვეყნის ბუნებისა და უაზრო გინება მისის მცხოვრებლებისა. მაგრამ ვიკითხოთ ერთი: როდის შეიქნა სოხუმის ციების ამბავი სიცრუეთ? განა რუსებისავე ექიმებს, სწავლულებს და მწერლებს ბევრჯელ არ შეუმოწმებიათ, რომ იმ ადგილების ჰავა მავნებელია უცხოთათვისაო?! განა მართლა არ ამოუწყვეტია აქაურს ციებ ცხელებას უცხო ახალშენები?! დიაღ, სოხუმის მხარის ჰავის ცუდი გავლენა უცხოელებზედ დღემდის სიმართლე იყო, მაგრამ დღეს—რა კი ქართველებს განუზრახავთ იქ ადგილ-მამულის შეძენა, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუედ უნდა იქნას აღიარებული!., შემდეგ, წერილში ვკითხულობთ, რომ იქაურ მცხოვრებ ქართველთ, ბერძენთ, აბხაზებს და სხვათ განუზრახავთ საზოგადოების შედგენაო ადგილ-მამულების შესაძენად. კარგი და კეთილი, თუ ეს მართალია! სწორედ მოსაწონი და სასარგებლო საქმე განუზრახავთ სოხუმელთ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ამ განზრახვის წინააღმდეგ არა ითქმის-რა. თვით „ნოვ. ვრ.“-ც ვერას იტყვის წინააღმდეგს პირ-დაპირ, მაგრამ სამაგიეროდ მას ისეთი ცილის-წამება ჩაურთავს, რომ გაზეთს ნება ეძლევა ახალის „საზოგადოების“ წინააღმდეგ გამოილაშქროს. კორესპნოდენტი სწერს, ვითომც მას საბუთი აქვს სთქვას, რომ ახალს საზოგადოებას სურს სიძულვილი დასთესოს მკვიდრთა და რუსთა შორისო!

განა დამტკიცება სჭირია, რომ ეს სრულიად მტკნარი სიცრუეა და ნამდვილი ცილის წამება? ეს რომ მართალ ი იყოს, განა კორესპონდენტი აგრე ყრუდ მოიხსენებდა რაღაც საიდუმლო „საბუთს?“ განა „ნოვოე ვრ.“ ბუკსა და ნაღარას არ დასცემდა, მართლა რომ გაჩენილიყო რუსეთში ამგვარი მავნე საზოგადოება? განა ასე მელანხოლიურად დაიწყებდა წუწუნს ცნობილი „ნოვ. ვრ.“, რომ მართლა საპატიო საბუთი ჰქონდეს ხელში ამგვარ მავნე საზოგადოების წინააღმდეგ?!. რასაკვირველია, არავითარი საბუთი არა აქვს და არც შეიძლება ექნეს, რადგანაც არავის ფიქრადაც არ მოუვა ამგვარ უაზრო საგნების დასახვა... ეს ცილის-წამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შეძენა განუზრახავს, მავნედ ჩაეთვალა... საზოგადოებას განუზრახავს ბოგანო ხალხის დასახლება და ადგილ-მამულის შერჩენა—ეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეა, მაგრამ, რადგანაც ეს საზოგადოება მკვიდრთაგან შესდგება, მაშასადამე, მავნებელიაო—აი «ნოვ. ვრ.»-ს ლოღიკა!.. «ნოვ. ვრ.» წინად უფრო ხერხიანად ავრცელებდა ხოლმე ცილისწამებასა და სიცრუეს, დღეს რა მოუვიდა, ნეტავი?

*) კურსივი ჩვენია.

## შემოწირულება.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

1, მღვდელმა იოანე სონღულაშვილმა ერთი ვერცხლის ფული რუსუდან დედოფლისა.

2, ბ-ნმა გიორგი სონღულაშვილმა ერთი ვერცხლის ორშაურიანი, მოჭრილი ტფილისში 1828 წ.

და 3, ქ-ნმა ბარბარე თევდორეს ასულმა ყიფშიძემ ერთი რომაული ძველი ვერცხლის ფული.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას სწირავს შემწირველთ.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელს „ივერიის“ ახალ ამბად დასტამბულია: „ხელოსანთა საზოგადოების წესდება უკვე შემუშავდა და როგორც გუბერნატორი დაბრუნდება, დასამტკიცებლად წარედგინება“.

უნდა იყოს: ....„როგორც-კი გუბერნატორი დაბრუნდება წარედგინება სადაც ჯერ არს გასაგზავნად და დასამტკიცებლად“.

# დეპეშა

(„ნოვ. ობოზრ.“-ის საკუთარ კორესპონდენტებისაგან).

**პეტერბურგი**, 22 აგვისტო. ვენიდგან აუწყებენ დეპეშით «ნოვოტს»: სტამბოლში მინისტრთა საბჭოს სხდომები ყოველ დღე იმართება. ამბობენ, საიდ-ფაშამ ოსმალეთის ყველა პროვინციებისათვის შეიმუშავა პროექტიო.

**განჯა**, 22 აგვისტო. სპარსეთში ახატში დიდი არეულობა მოხდა. გუბერნატორის კაგრამან-ხანის სახლი, რომელიც ადრევე გაიქცა, აკლებულ იქმნა. ახატაში მიმავალ გზით სიარული მეტად სახიფათოა. ფურგუნებით მოგზაურთ მცველებს ატარენ თან.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პეტერბურგი**, 23 აგვისტო. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 22 აგვისტოს ლიბავას წავიდა, შემდეგ საზღვარ გარეთ გაემგზავრება.

გამოცხადდა კანონი, რომლით გადიდებულ იქმნა ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შესანახად საჭირო კრედიტი 500 ათასი მანეთით.

**ბერლინი**. იმპერატორმა ვილჰელმმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლით გაიხსენა «სახელოვანი ბრძოლა ფრანგთა და გერმანელთ შორის; პირველნი თავგანწირულის მხნეობით იცავდნენ თვის დიდებულს წარსულს, თვის სახელსა და იმპერატორს, ხოლო მეორენი—თვის სამშობლოს და ერთობას. იმპერატორმა სთქვა, რომ ბოლოს დროს ერი უფრო მადლობელია მათი, ვინც სამხედრო ტანსაცმელს ატარებდა ან ატარებს და უმეტესად ვილჰელმ პირველისა. ახლანდელის თაობის ვალია—დაიცვას ის, რაც შექმნა ვილჰელმ პირველმა. ბოლოს იმპერატორმა გაჰკიცხა სოციალისტები, რომელნიც წინააღმდეგი იყვნენ სედანის ბრძოლის დღესასწაულისა, სახელმწიფოს მოღალატედ ჩასთვალა იგინი და დაექადნა, რომ განდევნის მათ გერმანიიდან.

**ლონდონი**. ავღანის ემირის შვილი პარისს წავიდა.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. მ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვის თანახმად არსდება ტფილისში

სასწავლებელი
გ. ლ. კუზანოვისა.

(მუხრანის ქუჩა, სახლი ყორღანოვისა, № 12, ვანქის საკრებულო ტაძრის ახლო).

მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოდგან დაიწყება, ხოლო სწავლა პირველ სექტემბრიდგან.

(3—1780—3)

ნომრები
„პარიჟი“

გოლოვინის პროსპექტი და კუთხე ჭავჭავაძის ქ. შესახვევისა კადეტთა კორპუსის პირდაპირ.

ფასები ნომრებისა დღე-ღამით: 50 კაპ. 3 მანეთამდე,—თვიურად 10 მან. 40 მანეთამდე.

სადგომი ხელ-ახლად შეკეთებული და მოწყობილია, ძალიან ხერხიანად გაწყობილი დროის მოთხოვნილების შესაფერად, აქვს ელექტრონის ზარები და სხვანი.

საჭმელები და საუზმეულობა მსურველთ შეუძლიანთ კერძოდ მოითხოვონ: თხოვნა მუდამ ასრულებული იქნება.

პატრონი დიმიტრი ხუნდაძე.

(8—1782—1)




Невскій пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—14)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის.
(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—1596—16).

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Августа 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.